4. სკოლაში დასაქმებულია 23 პირი: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექთანი, 2 დარაჯი, 2 ცეცხლფარეში, 2 დამლაგებელი, 11 მასწავლებელი - მათგან 10 უფროსი და 1 წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. **(შეესაბამება)**
5. სკოლის მართვაში მონაწილეობა და ორგანიზაციული კულტურის არსებობა დასტურდება თანამდებობრივი ინსტრუქციებით, გაფორმებული ხელშეკრულებებით, პროცესების ამსახველი ოქმებით. სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და მრჩეველთა საბჭო ჩართული არიან სკოლის მართვაში მიკუთვნებული საკითხების შესაბამისად. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. **(შეესაბამება)**
6. სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება წახალისების წესი და სახეები. დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.
   წარმოდგენილია დირექტორის ბრძანება ერთ-ერთი პედაგოგისათვის გამოცხადებული მადლობის შესახებ მის მიერ, დედაენის დღესთან დაკავშირებით, განხორციელებული საგანმანათლებლო სასკოლო აქტივობებისათვის. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ N21, 04/09/2023
- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა - პერსონალის შერჩევის წესი
- სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი
- ბრძანება მასწავლებლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ 13/04/2023
- შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის დებულება. დამტკიცებულია და მუშაობს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფი ორიენტირებულია პედაგოგთა საჭიროებების დადგენაზე გაკვეთილზე დასწრების, კითხვარების, გასაუბრების და სხვა ინსტრუმენტების საფუძველზე.

გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული პირების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება უწყვეტად სკოლის დირექტორის მიერ. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიმართულებაა პერსონალის მართვა, რომელიც მოიცავს ამოცანებს: პერსონალის საჭიროებების დადგენა, განვითარების მხარდაჭერა, მონიტორინგი და შეფასება. **(შეესაბამება)**

2. სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გათვალისწინებულია სკოლაში დასაქმებული პირების შეფასება და აგრეთვე, პროფესიული განვითარების მექანიზმები. პროფესიული განვითარების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირი არის სკოლის დირექტორი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებას ემსახურება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობა. მასწავლებლების გადიან სტატუსის შესაბამის ტრენინგებს. **(შეესაბამება)**

3. გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა წაახალისებს და მხარს უჭერს დასაქმებულთა კარიერულ ზრდას. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიმართულებაა. 2023 წელს სკოლაში ერთმა უფროსმა მასწავლებელმა მოიპოვა წამყვანი მასწავლებელის სტატუსი. **(შეესაბამება)**

4. სკოლა აღწერს დასაქმებულთა ინტეგრაციის ხელშემწყობ პრაქტიკის არსებობას. თუმცა არ აქვს დამტკიცებული თანამშრომლების ინტეგრაციის წესი. **სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშავოს თანამშრომელთა ინტეგრაციის წესი. (შეესაბამება)**

5. გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა წახალისოს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დასტურდება, რომ ასეთ შემთხვევაში სკოლამ გამოიყენა შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების მექანიზმი (მადლობის გამოცხადება). **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის დებულება
- ბრძანება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დამტკიცების შესახებ
- ჯგუფის ოქმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მასწავლებელთა პროფესიული საქაღალდეები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. გასაუბრებისა და სხვადასხვა დოკუმენტის შესწავლით ჩანს, რომ გარკვეულწილად პროცესები წარიმართება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე) პრინციპის დაცვით. დირექტორის ბრძანებით სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის მიზანია მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. წარმოდგენილია ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმები.
<u>სკოლას არ აქვს შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის აღმწერი დოკუმენტი.</u> **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეფასდა, რომ 3.3. კომპონენტის ინდიკატორი 3.3.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის სხვადასხვა შიდა აქტში აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე დამტკიცდა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის დებულება, ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა - პერსონალის შერჩევის წესი, სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი და სხვ. **(შეესაბამება)**
3. სკოლის წესდება და შინაგანაწესი ასახავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესს. სკოლაში შექმნილია საჩივრების განხილვის სისტემა. ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური საბჭო, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებულია სააპელაციო კომიტეტის შექმნა. **(შეესაბამება)**
4. სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელშიც ასახულია დასაქმებულთა და მშობელთა უფლებები. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. დამრიგებელი, ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს მშობელთა კრებაზე. ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს კანონიერი უფლებების მექანიზმებს სკოლაში. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- წესდება
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს შეხვედრებსა და საჯაროდ ინფორმაციის განთავსებას. ტარდება კოლეგიური ორგანოების სხდომები და მშობელთა კრებები. დირექცია და მასწავლებლები მშობლებთან კომუნიკაციის პროცესში იღებენ უკუკავშირს. შინაგანაწესში გაწერილია განცხადების მიღებისა და მასზე რეაგირების წესი. **(შეესაბამება)**

2. სკოლაში შექმნილია სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, რომლებიც დაკომპლექტებულია კანონმდებლობის შესაბამისად და ახორციელებელ შესაბამის უფლებამოსილებას. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- შინაგანაწესი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზუალური დათვალირებისა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლის ეზო შემოსაზღვრულია. შიდა და გარე პერიმეტრი კეთილმოწყობილია.
- შენობის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია ექთანი. (სკოლაში ფაქტობრივად არსებული მოსწავლეთა რაოდენობაა - 26, ხოლო სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობაა - 200)
- სკოლას <u>არ აქვს</u> დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი წერილი შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესაფასებლად.
- სკოლას <u>არ აქვს</u> დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგად შედგენილი მიწერილობა N24. (თარიღი - 03.02.2023) განსაზღვრულია სავალდებულოდ შესასრულებელი 13 ღონისძიება, ხოლო შესრულების ბოლო ვადაა 2023 წლის 30 ივნისი.
- სკოლას <u>არ აქვს</u> საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
- სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
- სკოლაში არ მიმდინარეობდა ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალის წარმოება და არ არის განსაზღვრული ვიზიტორთა აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული რეკომენდაცია ვიზიტის პერიოდში შესრულდა სკოლის მიერ. სკოლის შესასვლელში განთავსდა მაგიდა, შეიქმნა ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი და დაინიშნა პასუხისმგებელი პირი.
- სკოლის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეო მეთვალყურეობას სრულად ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების კამერების არსებული რაოდენობა (06/ნ ბრძანების შესაბამისად).

  (არ შეესაბამება)

რჩევა: სასურველია, სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

სასურველია, სკოლას ჰყავდეს (მოთხოვნილი) მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად რეკომენდებული - ექიმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეფასდა, რომ 3.4. კომპონენტის ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
  - სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს მიერ შემუშავებულ სკოლის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. დასკვნაში ასახულია შემდეგი შეფასება: „სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ხოლო არსებული ხარვეზები ლოკალურია. ამ ეტაპზე სკოლის ექსპლოატაცია უსაფრთხოა. ხოლო მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა არსებული ხარვეზები დროულად იქნას აღმოფხვრილი.“

სკოლას მიეცა რჩევა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს მიერ შემუშავებულ დასკვნაზე რეაგირების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ორგანოების ინფორმირება.

- **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი მიწერილობით განესაზღვრული სავალდებულო ღონისძიებები და <u>შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება</u> 01.03.2024 წლამდე.**
- **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. 20.12.2023 წლამდე.**
- **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრინველყოს უსაფრთხოების დამატებითი კამერების მონტაჟი შენობის შიდა და გარე პერიმეტრის სრული ვიდეომეთვალყურეობისათვის 05.05.2024 წლამდე.**

2. სკოლაში მოქმედებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოების დაცვასა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ფუნქციონირებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში შექმნილია კოლეგიური ორგანო მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. ბრძანებით განსაზღვრულია ჯგუფის ფუნქციები.

სკოლაში დასაქმებულია 2 დარაჯი, დამკვიდრებულია მასწავლებლების მორიგეობის პრაქტიკა, დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების შტაბის შემადგენლობა, გამოყოფილია ვიზიტორთა აღრიცხვაზე პასუხიმგებელი პირი.

(შეესაბამება)

3. სკოლა უზრუნველყოფს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. სადამრიგებლო პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილია მოსწავლეებისათვის მხარდამჭერი და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა. საჭიროების შემსთხვევაში სკოლა მიმართვას სსიპ მანდატურის სამხახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს. **(შეესაბამება)**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა. დასაქმებულია ორი დამლაგებელი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის პერიმეტრის დასუფთავებას და ასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებს. **(შეესაბამება)**

5. სკოლაში მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (ბრძანება - 05.05.2022). თუმცა დოკუმენტის მე-9 მუხლი „მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას“ არ ასახავს სკოლაში არსებულ რეალურ სურათს და საჭიროებს რედაქტირებას; კერძოდ, სკოლას არ ჰყავს მანდატური, ხოლო დოკუმენტი არ აღწერს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაფარვის რეალურ სურათს. **სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის შიდა აქტში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების“ შინაარსი შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის რეალობასთან.** მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილია რეგულაცია მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესის შესახებ. **(შეესაბამება)**

6. სკოლის საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფაზე. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია ინახება დაცულად, არ არის თავისუფლად ხელმისაწვდომი. **(შეესაბამება)**

7. ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების შეფასების მექანიზმის როლს ასრულებს მრჩეველთა საბჭო კანონმდებლობით განსაზღვრული შემადგენლობით. მრჩეველთა საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციების ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების ხარისხის გასაუმჯობესებლად. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ბრძანება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა, თარიღი 03.02.2023
- კორესპონდენცია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, ბრძანება - 05.05.2022
- ბრძანება ვიზიტორთა აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
- ბრძანება საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ, ბრძანება - 10.10.2022

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სარგებლობაშია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორში მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, 9670.00 კვ.მ ფართობის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები N1, N2, N3 (საქვაბე) და N4 (საქვაბე). სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შენობა N1-ში საერთო ფართით 1988.33 კვ.მ., შენობა N2 - არის სპორტული დარბაზი, რომელიც დაკავშირებულია N1 შენობასთან.

სკოლა რეაბილიტირებულია 2021 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. შენობა N1 ორსართულიანია.

პირველ სართულზე განთავსებულია 8 საკლასო ოთახი, დამატებით 1 ოთახი განკუთვნილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობისთვის, ხოლო 1 ოთახი ფართით 68.5 კვ.მ. განკუთვნილია სააქტო დარბაზის მოსაწყობად.

მეორე სართულზე განთავსებულია 6 საკლასო ოთახი, დირექტორისა და საქმისმწარმოებლისათვის ოთახები, ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი ოთახი, ისტ ლაბორატორია და 1 საკლასო ოთახი, რომელიც გამოყოფილია ფიზიკის ლაბორატორიის მოსაწყობად.

შენობის ორივე სართულზე არის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სველი წერტილები, ადაპტირებული სველი წერტილები გოგონებისა და ბიჭებისათვის და მასწავლებლებისათვის.

სკოლა ფლობს ახალ, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ 20 მერხს და ასევე, არასტანდარტულ 7 (ფერად) მერხს, ხოლო 12 მოძველებული მერხი დასაწყობებულია. **(იხ. დანართი N1) (შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა საკლასო ოთახები, ისტ ლაბორატორია, სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, დამონტაჟებულია ლიფტი, ხოლო სპორტულ დარბაზთან დამაკავშირებელ დერეფანში მოწყობულია მცირე ელექტრო ამწევი ეტლით მოსარგებლის გადასაადგილებლად. შესაბამისად ეტლით მოსარგებლე პირისათვის სრულად მისაწვდომია სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი. **(შეესაბამება)**

4. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას ხელს უწყობს სკოლის დიდი, კეთილმოწყობილი და დაცული ეზო. ეზოში განთავსებულია სკამები. სასკოლო საზოგადოება ზრუნავს ეზოს გამწვანებასა და მოვლაზე.

სკოლას აქვს სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი, რომელიც ქმნის შესაძლებლობას დაიგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები სასკოლო საზოგადოებისა თუ თემის მონაწილეობით.

სპორტული დარბაზი კეთილმოწყობილია. ვიზიტის პერიოდში იატაკზე გაშლილი იყო რბილი ხალიჩა და განთავსებული იყო სპორტული ინვენტარი: პრესის საწოლი და კომპლექსური ტრენაჟორი. **(იხ. დანართი N1)** უამინდობის პერიოდში მოსწავლეები სპორტულ დარბაზში ვარჯიშობენ, მათ შორის ტრენაჟორების გამოყენებით. **(შეესაბამება)**

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზუალური დათვალიერებისა და ინტერვიუირების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა ფლობს სპორტულ ინვენტარს (ბურთები, ფრენბურთის ბადე, პრესის საწოლი, კომპლექსური ტრენაჟორი), სკოლა ფლობს 2 პერსონალურ კომპიუტერს ისტ ლაბორატორიისათვის.

- სკოლას <u>არ აქვს</u> წიგნადი ფონდი ბიბლიოთეკისათვის. გამოყოფილია ოთახი, რომელშიც განთავსებულია მაგიდა და წიგნების რამდენიმე თარო. ოთახი წიგნიერების კლუბის სამუშაო სივრცეა. მასში განთავსებულია რამდენიმე ერთეული წიგნი. სკოლას <u>არ აქვს</u> საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. აქედან გამომდინარე, ვერ მივიჩნევთ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია კურიკულუმის განხორციელება. შესაბამისად მეორე სტანდარტის კომპონენტი 2.2. არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
  (შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (10/08/2023)
- აზომვითი ნახაზი
- სპორტული ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია
- დანართი N1 - ფოტოსურათები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მოიცავს 5 პერსონალურ კომპიუტერსა და 1 ლეპტოპს. მათგან 2 პერსონალური კომპიუტერი განთავსებულია ისტ ლაბორატორიაში, 1 - სამასწავლებლოში, 1 განკუთვნილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საქმისმწარმოებლისათვის, 1 - დასაწყობებულია და იგეგმება მისი ბიბლიოთეკაში განთავსება, ხოლო ლეპტოპი დირექტორის სარგებლობაშია.

სკოლა ფლობს 2 პროექტორი. 1 განთავსებულია წიგნიერების კლუბში, ხოლო მეორე გამოიყენება საჭიროებისამებრ საკლასო ოთახებში გადასატანად.

2. დამტკიცებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კომპიუტერულ ლაბორატორიაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნულია ისტ მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია
- ბრძანება კომპიუტერულ ლაბორატორიაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: შემოსული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დოკუმენტაცია, გასული დოკუმენტაცია და შიდა დოკუმენტაცია. საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საქმისმწარმოებელი. **(შეესაბამება)**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას EFLOW, აქვს ელ. ფოსტა. **(შეესაბამება)**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათი სრულყოფილად არის შევსებული. **(შეესაბამება)**

4. სკოლა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მასთან. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით დასტურდება, რომ სკოლამ ვადის დაცვით მიაწოდა ანგარიში EFLOW საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს. სკოლა დროულად აწვდის უკუკავშირს და თანამშრომლობს თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების დებულება
- ბრძანება საქმისმწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშნვნის შესახებ
- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა EFLOW

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის აქვს ოფიციალური, ვებ გვერდზე - skolebi.emis.ge არსებული სკოლის შესაბამისი გვერდი, ელექტრონული ფოსტა და ტელეფონის ნომერი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას არ აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის/ურთიერთობის წესი. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადობასთან ურთოერთობისა და კომუნიკაციის წესის შესწავლის შედეგად შეფასდა, რომ 3.6. კომპონენტის ინდიკატორი 3.6.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში დანიშნულია ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **(შეესაბამება)**
3. სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) უკუკავშირს იღებს სკოლის დირექტორი. კლასის დამრიგებლები და მასწავლებლები იღებენ უკუკავშირს მოსწავლეებისაგან და მშობლებისაგან. სკოლას არ აქვს წერილობით გაწერილი წესი, თუ რა არხებით მიიღებს სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან უკუკავშირს. **(შეესაბამება)**
4. ვებ გვერდზე - skolebi.emis.ge არსებულ სკოლის შესაბამის გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **შეესაბამება)**
5. ვებ გვერდზე - skolebi.emis.ge არსებული სკოლის შესაბამისი გვერდი მოიცავს საკონტაქტო ინფორმაციას, პროგრამების სახელწოდებებს, ინფორმაციას მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ, სკოლის სტრუქტურასა და შვიდწლიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტრატეგიულ გეგმას. ინდიკატორით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია (საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები არ არის წარმოდგენილი. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეფასდა, რომ 3.4. კომპონენტის ინდიკატორი 3.6.3.5 მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
  სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა ვებ გვერდზე 25.12.2023 წლამდე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ, ბრძანება - 12.08.2023
- ვებ გვერდზე - skolebi.emis.ge არსებული სკოლის შესაბამისი გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორი საქართველოს მთავრობის N671 დადგენილებით მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაშია შესული, ხოლო სოფელ დიდგორის საჯარო სკოლა მცირეკონტინგენტიანია. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 25 მოსწავლე.

დაწესებულების დაფინანსება განისაზღვრება „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილების შესაბამისად.

სკოლა არ ახორციელებს კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობას და არ გააჩნია დამატებითი შემოსავლები.

(შეესაბამება)

2. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს დირექტორი და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი, 2023
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმებია სკოლის შინაგანაწესი, 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია „მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში“. ჩანაწერი მოიცავს 12 პუნქტს და ასახვას მოსწავლეთა უფლებებს. უფლებები ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომებისა და შესაბამისი სახდელების ნუსხა. შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, აგრეთვე, წარმოადგენს მოსწავლის უფლებების დაცვის გარანტს სკოლაში.

სკოლის წესდების თანახმად, მოსწავლესა და მის მშობელს უფლება აქვთ წერილობით მიმართონ სკოლის დირექტორს და გაასაჩივრონ მათ მიმართ უკანონო და არამართზომიერი ქმედებები. სკოლის დირექცია შემოსულ განცხადებაზე რეაგირებას ახდენს სკოლის წესდების შესაბამისად. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობას მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფენ კლასის დამრიგებლები კლასის საათზე, სასწავლო წლის დასაწყისში. მშობელთა კრებებზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს შინაგანაწესისა და საგანმანათლებლო პროგრამების, შეფასებისა და სკოლის სტრუქტურის შესახებ. **(შეესაბამება)**

3. ყველა მოსწავლის მშობელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. განსაზღვრულია მშობლებისა და სკოლის უფლებების და ვალდებულებები. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ N45, 05/09/2023
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შინაგანაწესი, 2018

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი წესი. მოსწავლის ჩარიცხვისა და მობილობის საკითხი, აგრეთვე, რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევის წესი - სასკოლო სასწავლო გეგმით.

სკოლის შინაგანაწესის მე-11 თავის მე-9 მუხლი ადგენს, რომ "სკოლა უფლებამოსილია <u>მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე</u>, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა." აღწერილი არ შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის შესახებ, რომლის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნული უფლებამოსილება მობილობის ჩარიცხვის შემდგომ აქვს. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეფასდა, რომ 4.1 კომპონენტის ინდიკატორი 4.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ვიზიტის პერიოდში შემთხვევითობის პრინციპით შეწავლილი იყო მოსწავლის ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პროცესი. დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეს ამორიცხავს მხოლოდ მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მომართვის საფუძველზე, მშობლის განაცხადის გარეშე. აღნიშნული პრაქტიკა არ შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის შესახებ, რომლის ერთ-ერთი მოთხოვნა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვა იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისადმი, რომლიდანაც გადადის მოსწავლე. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეფასდა, რომ 4.1 კომპონენტის ინდიკატორი 4.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში ხორციელდება მხოლოდ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნული პროგრამებისა და მათი სპეციფიკის შესახებ კლასის დამრიგებლები ინფორმაციას აწვდიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეებსა და მშობლებს, სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია მოსწავლეებისათვის ცნობილია კლასის დამრიგებლების მეშვეობით და თვალსაჩინოდ არის განთავსებული სკოლაში. **(შეესაბამება)**

4. განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ვალდებულებაა კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული ინფორმაციის გავრცელება. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი, დირექტორის ბრძანება
- შინაგანაწესი, 2018
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწობი მექანიზმი. სკოლაში თითოეულ კლასს ჰყავს ჰყავს დამრიგებელი, რომლებიც უპირველესად ზრუნავენ მოსწავლეებისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის ადაპტაციის წესი. **(შეესაბამება)**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. პირველკლასელთა მიღება ხდება საზეიმო და კეთილგანწყობილ ვითარებაში. დამრიგებლები მოსწავლეებს აცნობენ შინაგანაწესს, სასწავლო პროგრამას, შეფასების შესახებ ინფორმაციას და სხვ. **(შეესაბამება)**

3. სკოლის თითოეული მოსწავლე იღებს სათანადო მხარდაჭერას აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით, ნიშნის გაუმჯობესების მსურველი მოსწავლისთვის შეთავაზებულია სემესტრული გამოცდა, გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, ხოლო საშემოდგომო გამოცდის შემთხვევაში სკოლა სათანადო კონსულტაციას გაუწევს მოსწავლეს.

სკოლაში მოქმედებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის დებულება. **(შეესაბამება)**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „მწიგნობარი," რომელსაც ხელმძღვანელობს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა. თვითმმართველობის მუშაობისა და მათ მიერ განხორციელებული ინიციატივების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია არ იყო წარმოდგენილი. მოსწავლეთა სკოლის მართვაში ჩართულობის ხელშეწყობა და დირექციის მიერ მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა სკოლის გასაუმჯობესებელი მიმართულებაა. <u>სკოლას არ აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერი მექანიზმი.</u> **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეფასდა, რომ 4.2 კომპონენტის ინდიკატორი 4.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლაში არ მოიძებნა მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღების მექანიზმის მტკიცებულება (მაგ. კითხვარები და გამოკითხვის შედეგების გათვალიწინების შემთხვევა). თუმცა სკოლაში არსებობს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა ფუნქციებში გათვალიწინებულია დირექციასთან უკუკავშირის მექანიზმის არსებობა, ინიციატივებით მიმართვა და სხვ., ხოლო პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა მოსაზრებებსა და ინტერესებს ითვალისწინებენ. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი, ბრძანება - 06.09.2023
- მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის დებულება, ბრძანება - 05.09.2023
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა
- კლუბ „მწიგნობარის" წესდება
- კლუბის სამოქმედო გეგმა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლისათვის კარიერული დადგემვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების გაწევის გამოცდილება. ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე მასწავლებელი. სკოლაში ტარდებოდა შესაბამისი გაკვეთილები IX და XI კლასებში. სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობას. სადამრიგებლო პროგრამების ნაწილი არის საკითხი პროფესიის არჩევის შესახებ. **(შეესაბამება)**

2. სკოლა აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მოსწავლეებისათვის, დამრიგებლების მეშვეობით, ხელმისაწვდომია ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოცხადებული ღია კარის დღეებისა თუ სხვადასხვა პროექტების შესახებ. **(შეესაბამება)**

3. ვიზიტის პერიოდში ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება არ იყო შესაძლებელი. თუმცა სკოლა გეგმავს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების გეგმის შემუშავებისას, ხოლო შემდეგ მათი უკუკავშირის გათვალისწინებას მომსახურების გასაუმჯობესებლად. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სახეებს, ინდ გეგმის შემუშავების რეგულაციას, სსსმ მოსწავლის შეფასების წესსა და სსსმ მოსწავლის შინ სწავლების საკითხებს. ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე. **(შეესაბამება)**
2. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერისათვის სკოლა შექმნის ისგ ჯგუფს და შეუმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ არ არის და შეთავაზებული დამატებითი მომსახურება.
2. სკოლის მიერ არ არის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება.
3. სკოლის მიერ არ არის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო დოკუმენტაცია
- გასაუბრება დირექტორთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2 **დაწყებითი საფეხური**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** **▇ ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ▇ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ▇ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	▇ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	▇ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიისა და კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ სასწავლო გეგმა, ტექნიკურად და შინაარსობრივად, შეესაბამება ერონული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს, მიზნებსა და საკითხებს. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ შესასწავლი თემების არჩევისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს თავიანთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აირჩიეს მოსწავლეებისათვის საინტერესო შინაარსები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა კოგნიტური შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში შესასწავლი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობებიც, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსური დავალებების რაოდენობების შერჩევისას გააანალიზეს კოლეგების მზაობა ამ დავალებების განსახორციელებლად. გაითვალისწინეს ის, რომ სასწავლო პროცესი დაძლევადი ყოფილიყო თავად მასწავლებლებისათვისაც, რათა არ დაზარალებულიყო მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ამ ანალიზზე დაყრდნობით სკოლამ გადაწყვიტა, რომ მათი კურიკულუმები, ამ ეტაპზე, სრულად კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირებული არ ყოფილიყო. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლიგიის თანახმად, კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობები, რათა რეალისტური ყოფილიყო სასწავლო გეგმის პრაქტიკულად განხორციელება. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლას აქვს კურიკულუმების შედგენის მწირი გამოცდილება, თუმცა სკოლა მზაობას გამოთქვამს, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა და თითოეულმა პედაგოგმა აიმაღლოს კვალიფიკაცია. **(შეესაბამება)**

3. კათედრების წევრებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. კათედრებსა და პედაგოგებს ფუნქციები გონივრულად, საკუთარი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით ჰქონდათ გადანაწილებული. პედაგოგები გამოხატავენ მზაობას, რომ მომდევნო კურიკულუმების შემუშავებისას კიდევ უფრო მეტად გააძლიერონ სასკოლო საზოგადოების ჩართულობის კომპონენტი. **(შეესაბამება)**

4. როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებული იქნება სკოლის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის. გარდა ამისა, სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმსა და კომპლექსური დავალებების ბარათებს მშობლებს გააცნობენ მშობელთა კრებაზე. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი განათლების საფეხურზე ყველა კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მათში გათვალისწინებულია თემები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საკითხები/ქვესაკითხები, საჭირო რესურსები. კურიკულუმებში გაწერილია გრძელვადიანი მიზნები, კომპლექსური დავალებები და მათი შეფასების რუბრიკები. თუმცა თითქმის ყველა საგნობრივ ჯგუფში გამოიკვეთა **ხარვეზები და გასაუმჯობესებელი საკითხები.**
   - **სახელმწიფო ენა** - პირველი კლასის კურიკულუმი არაა შექმნილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
   - **ტექნოლოგიები** - კურიკულუმებში არასრულადაა მოცემული საკითხების ჩამონათვალი. კომპლექსური დავალებები მხოლოდ იდეის დონეზეა მოცემული და მისი ეტაპები არაა დეტალურად გაწერილი. ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ერთი კონტექსტმაგალითია მოძიებული/შექმნილი. აღნიშნულთან დაკავშირებით მასწავლებელმა გასაუბრებაზე გვიპასუხა, რომ იმ ეტაპზე კურიკულუმის ჩარჩოში შეიტანა მხოლოდ ის საკითხები, რომლებზეც გაწერილი ჰქონდა კომპლექსური დავალების იდეები. მისი თქმით, ამ იდეების დეტალიზება და ეტაპებად ჩაშლა მოხდება სასწავლო წლის დაწყებამდე. დაემატება საკითხები, კონტექსტმაგალითები და კურიკულუმი გახდება უფრო მრავალფეროვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება** - კურიკულუმებში (I-IV კლასები) სამივე სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში არაა დამუშავებული სტანდარტით განსაზღვრული ოთხივე სამიზნე ცნება. სავალდებულო თემატური ბლოკები დასახელებულია არასწორად ან საერთოდ არაა წარმოდგენილი. V-VI კლსების შემთხვევაში კი სავალდებულო თემატურ ბლოკებში არ მუშავდება ხუთივე სამიზნე ცნება.
- **ფიზიკური აღზრდისა და სპორტი** - სასურველია, რომ ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებს დაემატოს თემები, რომლებიც გამომდინარეობს ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის თემატური ბლოკიდან. მაგალითად, „ტანვარჯიში“, რომლის განხორციელების სპორტული ინვეტარი სკოლას გააჩნია.

2. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც დამუშვებულია სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებებისა და შეფასების რუბრიკების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. შემდეგ საგნობრივ ჯგუფებში გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები და საგულისხმო საკითხები:

- მათემატიკა - I, II და V კლასების კურიკულუმები შემუშავებული არაა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მათში გათვალისწინებული არაა საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ყველა თემა.
- ესთეტიკური აღზრდის კათედრა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შემთხვევაში სავალდებულო თემატური ბლოკების ფარგლებში (I-IV კლასები) არ ხდება სავალდებულო ოთხივე სამიზნე ცნებაზე ორიენტირება. დასახელებული სამიზნე ცნებები არ შეესაბამება ახალ სტანდარტს. სავალდებულო თემატური ბლოკები დასახელებულია არასწორად ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი. ასევე მე-5 და მე-6 კლსების შემთხვევაში სავალდებულო თემატურ ბლოკებში არ მუშავდება ხუთივე სამიზნე ცნება. წარმოდგენილი სამიზნე ცნებები კი არ არის სტანდარტთან შესაბამისობაში.
- ფიზიკური აღზრდა და სპორტი – სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი. თუმცა მასში არაა შექმნილი კურიკულუმში ასახული თემების შესწავლისთვის საჭირო პირობები. ამ საკითხის გამოსწორების მიზნით, მასწავლებელს ინტერვიუს დროს მიეცა შესაბამისი რჩევები. **(არ შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

3. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, სკოლას არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, სსმ მოსწავლეს შესთავაზოს შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა) და ინტერვიუს დროს გამოკვეთილი მასწავლებელთა მზაობის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. **(შეესაბამება)**

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. ამავე დოკუმენტის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება უკავშირდება არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ შეასრულოს სასკოლო სასწავლო გემით განსაზღვრული საკითხები. სკოლა აქამდე იყენებდა შეფასების პირველ მოდელს, რაც გულისხმობს მიმდინარე (საკლსო, საშინაო) და შემაჯამებელ შეფასებას. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა კათედრა აქტიურად იყენებს ზეპირ განმავითარებელ კომენტარს. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა რჩება იგივე შეფასების მოდელზე. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან აიმაღონ კვალიფიკაცია და შეფასება აწარმოონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტაციის შესწავლისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით გამოიკვეთა ხარვეზები და გასაუმჯობესებელი საკითხები. კერძოდ:

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა - სასურველია, რომ საგანში „ბუნებისმეტყველება“ შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული თემის, საკითხის ან აქტივობების შესაბამისი.
- საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგანში „მე და საზოგადოება“ წარმოდგენილი არაა კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები. აგრეთვე, წარმოდგენილი არაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- ესთეტიკური აღზრდა - მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სკოლას არ წარმოუდგენია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

5. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დამკვიდრებულია საგნის მასწავლებლების, კათედრების, კლასის დამრიგებლების ანგარიშების წარმოდგენა. მათი გაანალიზების საფუძველზე გამოიყოფა პრობლემური და გასაუმჯობესებელი საკითხები. ამის შემდეგ პედაგოგები ადგენენ წარმოშობილი პრობლემების მიზეზებს და პოულობენ მათი გადაჭრის გზებს. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან სრულად მიყვებიან კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილ პროცესებს.

ინტერვიურებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს სადიაგნოსტიკო ტესტირების გამოყენების მცირე პრაქტიკაზე. სახელმწიფო ენის კათედრის წარმომადგენლები იყენებენ kargiskola.ge-ის სადიაგნოსტიკო ტესტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სკოლის ყველა მოსწავლეს თავად ასწავლის და მათი მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, კარგად იცის ყველას შესაძლებლობები. გარდა ამისა, იგი ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას ითვალისწინებს წინა წლის განმავითარებელ შეფასებებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა - კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია პედაგოგთა წინარე გამოცდილება, რომელსაც ერთმანეთს უზიარებენ ვერბალურად, მაგრამ ეს არ არის გაფორმებული დოკუმენტურად. სკოლა გეგმავს, რომ მსგავს გაზიარებებს მისცეს ოფიციალური სახე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეიქმნება წინარე გამოცდილებათა დოკუმენტალური ანალიზი, რაც მათ სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვაში დაეხმარება.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა დაგეგვმის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და მზად არის ამ მიმართულებით არსებული გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსასწორებლად. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- განხორციელებული გაკვეთილის გეგმა-რეფლექსია;
- შეფასების რუბრიკები;
- პროექტი;
- ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის ოქმი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N99/ნ-ის („საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კომპონენტი 2.2 (კურიკულუმის განხორციელება) დახარვეზებულია, რადგან:

- სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბონეტი და შესაბამისი სასწავლო რესურსები.
- სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზრუნველსაყოფად 2024 წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტის მოწყობა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით აღჭურვა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მათში გაწერილი კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სახელმწიფო ენის კათედრაზე ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი „მწიგნობარი“. მისი წესდება ადასტურებს, რომ მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობა უზრუნველყოფილია არაფორმალური განათლების აქტივობების შეთავაზების გზით. ამავე კათედრაზე განხორციელდა პროექტები: „სკოლა ჩემი სახლია“ და „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“. პედაგოგებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ესთეტიკური აღზრდის კათედრა ახორციელებს სხვადასხვა პროექტსა და აქტივობას. მაგალითად: „საახალწლო ღონისძიება“, „დედის დღე“, კალიგრაფიის კონკურსი (დაწყებითი განათლების კათედრასთან თანამშრომლობით), „დედაენის დღე“ (სასკოლო პროექტი ყველა საფეხურის ჩართულობით, ქართული ენის კათედრასთან თანამშრომლობით). გარდა ამისა, სკოლაში ხელოვნების მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით გაიმართა სხვადასხვა თემატიკის მქონე გამოფენები და ღონისძიებები, რომელებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. **განსხვავებული ვითარებაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით,** რაც ხარვეზების სახით ასახულია შესაბამის ცხრილში.

   სპორტ დარბაზში განლაგებული ინვეტარი არ იძლევა დაწყებითი განათლების საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული და კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო თემატურ ბლოკში - „სახალისო მოძრავი თამაშები“ - შემავალი თემების სრულყოფილად შესწავლის შესაძლებლობას. აგრეთვე, დარბაზში განთავსებული არ არის ამ თემების განხორციელებისთვის საჭირო სპორტული ინვენტარი.

   (არ შეესაბამება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

2. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, რომელთა განხორციელების დაწყებაც დაგეგმილი აქვთ 2023-2024 სასწავლო წლიდან, ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კურიკულუმებში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც მას დაეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. **(შეესაბამება)**

3. კათედრების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მართალია, ჯერ კომპლექსური დავალებების გამოყენება სრულად არაა დანერგილი, მაგრამ მასწავლებლები ადასტურებენ, რომ მზად არიან მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები მაქსიმალურად დააკმაყოფილებენ 2023-2024 სასწავლო წლიდან. აღსანიშნავია, რომ მათ ესაჭიროებათ მხარდაჭერა, რათა შეძლონ პროფესიული განვითარება და საგაკვეთილო პროცესის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართვა. **(შეესაბამება)**

4. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობის შესაძლებლობას. მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელთა შესაქმნელად მათ ჯერ უნდა შეიძინონ ცოდნა, პრატიკულად შეძლონ ამ ცოდნის გამოყენება და ბოლოს ფუნქციურად, გააზრებულად გამოიყენონ იგი. სახელმწიფო ენისა და მათემატიკის კათედრების შემთხვევაში, ცოდის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობის შესახებ ინფორმაციას იძლევა განხორციელებული პროექტებიც. **(შეესაბამება)**

5. კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას კომპლექსური დავალებების განხორციელებით გეგმავს, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ პედაგოგებს აქვთ სურვილი ჩაერთონ შესაბამის ტრენინგებში, განვითარდნენ პროფესიულად, რათა სრულფასოვნად შეძლონ კომპლექსური დავალებების საგაკვეთილო პროცესში დანერგვა. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- განხორციელებული გაკვეთილის გეგმა-რეფლექსია;
- შეფასების რუბრიკები (განმსზღვრელი, განმავითარებელი);
- ხარისხის მართვის ჯგუფის ოქმი.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმების ჩარჩოებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. კურიკულუმებში წარმოდგენილი თითოეული თემა, სამიზნე ცნება, საკითხი/ქვესაკითხი აზუსტებს, თუ რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ თუ იმ ცნებასთან მიმართებით, საფეხურის ბოლოს. თითოეული თემა/საკითხი შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებს. მათი დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით. რაც დასტურია იმისა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პედაგოგები გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან, მზად არიან იხელმძღვანელონ ზემოთ აღწერილი კურიკულუმებით. განსხვავებული ვითარებაა შემდეგი საგნობის მიმართულებით:
   - მათემატიკა - მათემატიკის საგნობრივ კურუკულუმებში არ იკვეთება სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.
   - სააბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ბუნებისმეტყველების II, III და IV კლასის კურიკულუმებში არ იკვეთება ზოგადი და კერძო ქვეცნებები.
   - საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგნის „მე და საზოგადოება“ IV კლასის კურიკულუმში არ ფიგურირებს შუალედური მიზანი. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს გააცნოებიეროს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა არ იყო ჩართული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაგეგვაში, მაგრამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო: მოსწავლის მზაობა, ინტერესები, პიროვნული, ფსიქო-სოციალური და სხვა ფაქტორები. **(შეესაბამება)**

3. კათედრების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განამვათარებელი შეფასების რუბრიკებით დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. განსხვავებული ვითარებაა რამდენიმე კათედრაზე. კერძოდ:
   - ტექნოლოგიები - ამ ეტაპზე დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში. კათედრა მზადაა შეფასების სისტემის დახვეწისა და მკაფიოობის ხელშესაწყობად.
   - ესთეტიკური აღზრდა - სკოლას დაწყებით საფეხურზე არ აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების გაცნობითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება საგნობრივ სტანდარტებთან და მიზნებთან შესაბამისად, რაც მის ვალიდულობას ადასტურებს. შერჩეულია გაზომვადი კრიტერიუმები, რაც განაპირობებს შეფასების სისტემის სანდოობასა და სამართლიანობას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები თავად მონაწილეობენ რუბრიკების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შედგენაში, მათთვის ცნობილია შეფასების კრიტერიუმები, მაშასადამე, შეფასება გამჭირვალეა. გამოიკვეთა შემდეგი **ხარვეზები და გასაუმჯობესებელი საკითხები:**

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კათედრამ ვერ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები ბუნებისმეტყველებაში. პედაგოგმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლამ შეიმუშავა ვერიფიკაციის მექანიზმი და 2023-2024 სასწავლო წელს მოხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი შეფასების რუბრიკების შემუშავება საგანში ბუნებისმეტყველება.
- **ესთეტიკური აღზრდა** - სკოლას დაწყებით საფეხურზე არ აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- **ტექნოლოგიები** - ამ ეტაპზე, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები იძლევა სანდოობის საფუძველს. სასურველია საჭიროა მოხდეს შეფასების ინსტრუმეტების გამრავალფეროვნება და დახვეწა, კოლეგებს შორის თანამშრომლობის გზით. გასაუბრების დროს, სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნული საკითხებისადმი გამოხატეს მზაობა. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

5. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები (მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან, მოსწავლის მიღწევების ანალიზი, ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად) და პრინციპები (ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა). წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმი, რომელშიც მოცემულია სხდომაზე განსახილველი საკითხები: მოსწავლეთა აკადემიური შედეგებისა და 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის განხილვა. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლა გეგმავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- სკოლის ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასება;
- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შეფასების რუბრიკები;
- საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლობლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლის ფორმაში ვკითხულობთ, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია ნდობაზე, სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ამ საკითხებს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლეებს, პედაგოგებს, დირექციას და ადმინისტრაციას ერთმანეთთან აქვთ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც ხელს უწყობთ, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში (გვ.43). ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ახლა არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მოსწავლე, მას აქვს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს შესთავაზოს შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება. **(შეესაბამება)**

2. სკოლა ზრუნავს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ჩართულობას და თვითრეალიზებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. ამას ადასტურებს

3. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეების თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ჩართულობასა და თვითრეალიზებას. მართალია, მცირე, მაგრამ სკოლას აქვს არაფორმალური განათლების აქტივობების განხორციელების გამოცდილება. სკოლაში ფუნქიონირებს მკითხველთა კლუბი „მწიგნობარი“, რომელშიც ჩართული იყვნენ დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები. ასევე, განხორციელდა საწავლო პროექტები: „სკოლა ჩემი სახლია“, „14 აპრილი“. ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი. სკოლას არ წარმოუდგენია მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და არც ინტერვიუს დროს დაუსახელებია შესაბამისი ფაქტები. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ გასაუმჯობესებელია მოსწავლეთა ჩართულობისა და თვითრეალიზების მიმართულება და მზაობას გამოხატავენ, რომ სამომავლოდ სასწავლო პროცესი წარმართოს უფრო მეტად წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია გუნდურ მუშაობასა და თანამშრომლობაზე. კათედრების წევრები ერთობლივად მუშაობენ სასკოლო დოკუმენტაციის შექმნასა და სასკოლო აქტივობების დაგეგმვაზე. ისინი ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთობლივად ახორციელებენ სხვადასხვა სასკოლო პროექტებს. მაგალითად: სასკოლო პროექტი ყველა საფეხურის ჩართულობით „დედა ენის დღე", კალიგრაფიის კონკურსი ესთეტიკური აღზრდისა და დაწყებითი კლასების კათედრების ჩართულობით. წარმოდგენილია, ასევე, დაწყებით საფეხურზე ჩატარებული გაკვეთილის გეგმა და უკუკავშირი, რაც ადასტურებს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობით კულტურას. **(შეესაბამება)**

5. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ დაწესებულებაში პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, თანამშრომლობა. აღსანიშნავია სკოლოს მხრიდან მადლობის გამოცხადება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის, რომელმაც განახორციელა სასწავლო პროექტი და კალიგრაფიის კონკურსი. საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში გაწერილი კომპლექსური დავალებები და სადამრიგებლო პროგრამები ატარებს ისეთ ხასიათს, რომ სკოლას აქვს მზაობა, უზრუნველყოს საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება და მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებსა და დირექციას შორის ინტენსიური თანამშრომლობასთან. ისინი ერთობლივად აკვირდებიან პროცესებს და აანალიზებენ შედეგებს. კურიკულუმის განვითარება, თავისთავად, წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან, მეთოდოლოგიის მიხედვით, ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი/შეფასება-გადაგეგმვა. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარების მეთოდოლოგია შესაძლებლობას გვაძლევს, ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **(შეესაბამება)**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასებასებისას უნდა დადგინდეს, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა მოიაზრებს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას. კერძოდ, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრები სემესტრის ბოლო სხდომებზე აჯამებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს. მასწავლებლები აკვირდებიან საკუთარ და კოლეგების პრაქტკას და გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე ცდილობენ ჩაერთონ შესაბამის ტრენინგებსა და ვებინარებში. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები, პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, საჭიროებენ მნიშვნელოვან მხადაჭერას. **(შეესაბამება)**

3. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ, როგორც პრობლემის გადაჭრის, და მეორეს მხრივ, როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით მუშაობა წარიმართება 2023-2024 სასწავლო წლიდან. ამ დროისათვის არსებული პრაქტიკა კი ასეთია: დირექციის წარმომადგენლები ესწრებიან საგაკვეთილო პროცესს, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ამ დროს დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ეძლევა განმავითარებელი უკუკავშირი. საჭიროების შემთხვევაში, სირთულეების დაძლევაში პედაგოგები თავადვე ეხმარებიან ერთმანეთს. კათედრები ურთიერთთანამშრომლობით გეგმავენ და ატარებენ გაკვეთილებს. შემდეგ განიხილავენ შედეგებს და სახავენ საკუთარი და კოლეგის პროფესიული განვითარების გზებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებისას, დგინდება სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზები, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების შემდეგ კი ხდება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალების შესახებ შეთანხმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამ გზით ჩატარებული ანალიზის შედეგად, პედაგოგები მიიჩნევენ, რომ აქვთ სხვადასხვა გასაუმჯობესებელი მხარე და ესაჭიროებათ კვალიფიციური კონსულტაციები, რათა მოხდეს მათი პროფესიული ზრდა. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვას, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას. აღსანიშნავია, რომ სკოლაში აქტიურადაა დასანერგი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი შეფასების სისტემა. პედაგოგები მზაობას გამოხატავენ ამ საკითხთან დაკავშირებით. **(შეესაბამება)**

2. დოკუმენტებში გაწერიალია, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, რამდენად ახერხებს მოსწავლე და როგორ არის ჩართული სწავლების პროცესში, დისკუსიის, ჯგუფური თუ ინდივიდუალური მეცადინეობის, პრეზენტაციის დროს. ასევე იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებს კომპლექსურ დავალებებს. სასწავლო პროცესში შეფასებისას აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა, შესაბამისად, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ კომენტარს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, სხვადასხვა შეფასების რუბრიკებს, რომელსაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ შეფასების ინსტრუმეტები საჭიროებს დახვეწასა და გამრავალფეროვნებას. სკოლა აღნიშნავს, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად ესაჭიროება შესაბამისი კონსულტაციები. აგრეთვე, გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან ზემოთ აღწერილი პროცესების შესაბამისად განახორციელოს მოსწავლეთა შეფასება. **(შეესაბამება)**

3. გასაუბრებისას ზოგიერთმა პედაგოგმა (მაგალთად, სახელმწიფო ენის) დაასახელეს შეფასებისათვის საჭირო მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: დაკვირვება, მასწავლებლის ჩანაწერები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, შეფასებების შედეგების ანალიზი, შეკითხვების დასმა, მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მსგავს ინფორმაციას ვერ ფლობს პედაგოგთა დიდი ნაწილი. ისინი აცნობიერებენ ამ პრობლემას და მზად არიან გადაემზადონ, შეისწავლონ შეფასების მრავალფეროვანი მეთოდოლოგია და გამოიყენონ საგაკვეთილო პროცესში. **(შეესაბამება)**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაიის მიხედვით, სკოლაში შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მაგალითად, როგორიცაა: ჩართულობა, ურთიერთანამშრომლობა, კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარები, მოტივაცია, მოსწავლეთა განვითარების, პირადი და სოციალური, ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორები და სხვა. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან ზემოთ აღწერილი ქმედებები სრულად დანერგოს სასწავლო პროცესში. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2019-2025 ს.წ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლის წესდება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2022-2023 ს.წ;
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში;
- დიდგორის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. მის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებულ რეკომენდაციათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ აღნიშნული პროცესები განახორციელოს პრაქტიკულადაც. **(შეესაბამება)**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. აღნიშნული პაკეტის შემუშავება ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ აღნიშნული პროცესები განახორციელოს პრაქტიკულადაც. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმიის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

  ☐ მეტწილად შეესაბამება

  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

  ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2 **საბაზო საფეხური**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი – ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** **|** **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება **|** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება **|** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**|** შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**|** შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიისა და კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ სასწავლო გეგმა, ტექნიკურად და შინაარსობრივად, შეესაბამება ერონული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს, მიზნებსა და საკითხებს. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ შესასწავლი თემების არჩევისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს თავიანთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აირჩიეს მოსწავლეებისათვის საინტერესო შინაარსები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა კოგნიტური შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში შესასწავლი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობებიც, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსური დავალებების რაოდენობების შერჩევისას გააანალიზეს კოლეგების მზაობა ამ დავალებების განსახორციელებლად. გაითვალისწინეს ის, რომ სასწავლო პროცესი დაძლევადი ყოფილიყო თავად მასწავლებლებისათვისაც, რათა არ დაზარალებულიყო მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ამ ანალიზზე დაყრდნობით სკოლამ გადაწყვიტა, რომ მათი კურიკულუმები, ამ ეტაპზე, სრულად კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირებული არ ყოფილიყო. **(შეესაბამება)**

2. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლიგიის თანახმად, კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობები, რათა რეალისტური ყოფილიყო სასწავლო გეგმის პრაქტიკულად განხორციელება. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლას აქვს კურიკულუმების შედგენის მწირი გამოცდილება, თუმცა სკოლა მზაობას გამოთქვამს, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა და თითოეულმა პედაგოგმა აიმაღლოს კვალიფიკაცია. **(შეესაბამება)**

3. კათედრების წევრებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. კათედრებსა და პედაგოგებს ფუნქციები გონივრულად, საკუთარი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით ჰქონდათ გადანაწილებული. პედაგოგები გამოხატავენ მზაობას, რომ მომდევნო კურიკულუმების შემუშავებისას კიდევ უფრო მეტად გააძლიერონ სასკოლო საზოგადოების ჩართულობის კომპონენტი. **(შეესაბამება)**

4. როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებული იქნება სკოლის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის. გარდა ამისა, სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმსა და კომპლექსური დავალებების ბარათებს მშობლებს გააცნობენ მშობელთა კრებაზე. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე ყველა კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მათში გათვალისწინებულია თემები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საკითხები/ქვესაკითხები, საჭირო რესურსები. კურიკულუმები ადასტურებს თუ რა გრძელვადიანი მიზნით უნდა ასწალონ სასწავლო პროცესში მოსწავლეს. კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალებები და მათი შეფასების რუბრიკები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც კათედრების წევრებთან გასაუბრებითაც დადასტურდა. **თუმცა გამოიკვეთა ხარვეზები,** კერძოდ:

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მიმართულებით** - 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, შეტანილია თითო კომპლექსური დავალება. მაგრამ ყოველივე ეს არათანმიმდევრულადაა წარმოდგენილი და მითითებული არაა რესურსები.
- **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** - საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულებში, კონკრეტულად, მე-8 და მე-9 კლასებში, დამუშავებული არაა სტანდარტით განსაზრვრული სამივე თემატური ბლოკი. საფეხურის ყველა კლასში სამიზნე ცნებები გაწერილი არაა სტანდარტის მიხედვით. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. საბაზო საფეხურზე, ყველა კათედრის მიერ, წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც დამუშვებულია სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებებისა და შეფასების რუბრიკების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. **(შეესაბამება)**

3. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, სკოლას არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, სსმ მოსწავლეს შესთავაზოს შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა) და ინტერვიუს დროს გამოკვეთილი მასწავლებელთა მზაობის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. **(შეესაბამება)**

სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. ამავე დოკუმენტის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება უკავშირდება არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ შეასრულოს სასკოლო სასწავლო გემით განსაზღვრული საკითხები. სკოლა აქამდე იყენებდა შეფასების პირველ მოდელს, რაც გულისხმობს მიმდინარე (საკლსო, საშინაო) და შემაჯამებელ შეფასებას. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა კათედრა აქტიურად იყენებს ზეპირ განმავითარებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომენტარს. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა რჩება იგივე შეფასების მოდელზე. თუმცა, კათედრების წარმომადგენლები, გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ ყველა მათგანს გააზრებული აქვს შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, აქვთ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების წარმოების გამოცდილება და მზად არიან, შეფასება აწარმოონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა ზოგიერთ კათედრაზე, შეფასების რუბრიკებთან მიმართებით, გვხვდება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა** - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებით შექმნლი რუბრიკები, თუმცა კათედრებმა წარმოადგინეს ახალი მოთხოვნის შესაბამისი შეფასების რუბრიკის სანიმუშო ეგზემპლიარები.

5. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დამკვიდრებულია საგნის მასწავლებლების, კათედრების, კლასის დამრიგებლების ანგარიშების წარმოდგენა. მათი გაანალიზების საფუძველზე გამოიყოფა პრობლემური და გასაუმჯობესებელი საკითხები. ამის შემდეგ პედაგოგები ადგენენ წარმოშობილი პრობლემების მიზეზებს და პოულობენ მათი გადაჭრის გზებს. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან სრულად მიყვებიან კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილ პროცესებს. გამოიკვეთა შემდეგი საგულისხმო საკითხი:

- **ესთეტიკური აღზრდის კათედრა** - რადგან სკოლას არ ჰყავს ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლები, კათედრის წარმომადგენელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას არ აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება. თუმცა მზაობა აქვთ, რომ 2023-2024 წლიდან იმუშაონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია. დირექციის წარმომადგენლები და პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ სკოლის მდებარეობის გამო ძალიან რთულია ახალი პედაგოგების დასაქმება. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- განხორციელებული გაკვეთილის გეგმა-რეფლექსია;
- შეფასების რუბრიკები;
- პროექტი;
- ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის ოქმი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N99/ნ-ის („საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კომპონენტი 2.2 (კურიკულუმის განხორციელება) დახარვეზებულია, რადგან

- სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი და შესაბამისი სასწავლო რესურსები.
- სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად 2024 წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტის მოწყობა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით აღჭურვა.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მათში გაწერილი კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სახელმწიფო ენის კათედრაზე ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი „მწიგნობარი“. მისი წესდება ადასტურებს, რომ მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობა უზრუნველყოფილია არაფორმალური განათლების აქტივობების შეთავაზების გზით. ამავე კათედრაზე განხორციელდა პროექტები: „სკოლა ჩემი სახლია“ და „ ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“. პედაგოგებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ესთეტიკური აღზრდის კათედრა ახორციელებს სხვადასხვა პროექტსა და აქტივობას. მაგალითად: „საახალწლო ღონისძიება“, „დედის დღე“, „დედაენის დღე“ (სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროექტი ყველა საფეხურის ჩართულობით, ქართული ენის კათედრასთან თანამშრომლობით). გარდა ამისა სკოლაში ხელოვნების მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით გაიმართა სხვადასხვა თემატიკის მქონე გამოფენები და ღონისძიებები, რომელებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას.

განსხვავებული ვითარებაა განსხვავებული ვითარებაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით, რაც ხარვეზების სახით აღნიშნულია შესაბამის ცხრილში; სპორტ დარბაზში განლაგებული ინვეტარი არ იძლევა დაწყებითი საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული და კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო თემატურ ბლოკში - „სპორტის სახეობები“ - შემავალი თემების სრულყოფილად შესწავლის შესაძლებლობას. აგრეთვე, დარბაზში განთავსებული არ არის ამ თემების განხორციელებისთვის საჭირო სპორტული ინვენტარი.

(არ შეესაბამება)

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

2. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, რომელთა განხორციელების დაწყებაც დაგეგმილი აქვთ 2023-2024 სასწავლო წლიდან, ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კურიკულუმებში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც მას დაეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. **(შეესაბამება)**

3. კათედრების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მართალია, ჯერ კომპლექსური დავალებების გამოყენება სრულად არაა დანერგილი, მაგრამ მასწავლებლები ადასტურებენ, რომ მზად არიან მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს მაქსიმალურად დააკმაყოფილებენ 2023-2024 სასწავლო წლიდან. აღსანიშნავია, რომ მათ ესაჭიროებათ მხარდაჭერა, რათა შეძლონ პროფესიული განვითარება და საგაკვეთილო პროცესის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართვა. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობის შესაძლებლობას. მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელთა შესაქმნელად მათ ჯერ უნდა შეიძინონ ცოდნა, პრაქტიკულად შეძლონ ამ ცოდნის გამოყენება და ბოლოს ფუნქციურად, გააზრებულად გამოიყენონ ეს ცოდნა. სახელმწიფო ენის შემთხვევაში, ცოდის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობის შესახებ ინფორმაციას იძლევა განხორციელებული კომპლექსური დავალებები. **განსხვავებული ვითარებაა** საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფების მიმართულებით, რაც, ხარვეზების სახით ასახულია შესაბამის ცხრილში. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

5. კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას კომპლექსური დავალებების განხორციელებით გეგმავს, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ პედაგოგებს აქვთ სურვილი ჩაერთონ შესაბამის ტრენინგებში, განვითარდნენ პროფესიულად, რათა სრულფასოვნად შეძლონ კომპლექსური დავალებების საგაკვეთილო პროცესში დანერგვა. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- განხორციელებული გაკვეთილის გეგმა-რეფლექსია;
- შეფასების რუბრიკები (განმსზღვრელი, განმავითარებელი);
- ხარისხის მართვის ჯგუფის ოქმი.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმების ჩარჩოებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. კურიკულუმებში წარმოდგენილი თითოეული თემა, სამიზნე ცნება, საკითხი/ქვესაკითხი აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ თუ იმ ცნებასთან მიმართებით, საფეხურის ბოლოს. თითოეული თემა/საკითხი შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებს. მათი დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით. რაც დასტურია იმისა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პედაგოგები გასაუბრებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ადასტურებენ, რომ 2023-204 სასწავლო წლიდან, მზად არიან იხელმძღვანელონ ზემოთ აღწერილი კურიკულუმებით. **(შეესაბამება)**

2. კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს გააცნოებიეროს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა არ იყო ჩართული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაგეგვაში, მაგრამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო: მოსწავლის მზაობა, ინტერესები, პირონვული, ფსიქო-სოციალური და სხვა ფაქტორები. **(შეესაბამება)**

3. კათედრების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განამვათარებელი შეფასების რუბრიკებით დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. **განსხვავებული ვითარებაა** შემდეგ კათედრაზე:
   - **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ვერც დოკუმენტაციის შესწავლით და ვერც მასწავლებელთან გასაუბრებით ვერ დადგინდა, როგორ ხდება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი რუბრიკების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ სასკოლო კურიკულუმში შეტანილია ვერიფიკაციის მექანიზმი და სკოლა აცხადებს მზაობას, რომ ეს საკითხი მოწესრიგდება. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების გაცნობითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციედება საგნობრივ სტანდარტებთან და მიზნებთან შესაბამისად, რაც მის ვალიდულობას ადასტურებს. შერჩეულია გაზომვადი კრიტერიუმები, რაც განაპირობებს შეფასების სისტემის სანდოობასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამართლიანობას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები თავად მონაწილეობენ რუბრიკების შედგენაში, მათთვის ცნობილია შეფასების კრიტერიუმები, მაშასადამე, შეფასება გამჭირვალეა. განსხვავებული ვითარებაა სამ კათედრაზე:

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კათედრამ ვერ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები ქიმიაში, ფიზიკასა და ბიოლოგიაში. პედაგოგმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლამ შეიმუშავა ვერიფიკაციის მექანიზმი და 2023-2024 სასწავლო წელს მოხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი შეფასების რუბრიკების შემუშავება.
- **ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. გასაუბრების დროს პედაგოგმს მიეცა შესაბამისი რჩევები რომლის გათვალისწინების მზაობა გამოხატა პედაგოგმა 2023-2024 სასწავლო წელს. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

5. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები (მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან, მოსწავლის მიღწევების ანალიზი, ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად) და პრინციპები (ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა). წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმი, რომელშიც მოცემულია სხდომაზე განსახილველი საკითხები: მოსწავლეთა აკადემიური შედეგებისა და 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის განხილვა. **(შეესაბამება)**

6. სკოლა გეგმავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- სკოლის ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლობლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლის ფორმაში ვკითხულობთ, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია ნდობაზე, სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ამ საკითხებს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლეებს, პედაგოგებს, დირექციას და ადმინისტრაციას ერთმანეთთან აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც ხელს უწყობთ, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში (გვ.43). ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ახლა არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მოსწავლე, მას აქვს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს შესთავაზოს შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება. **(შეესაბამება)**

2. სკოლა ზრუნავს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ჩართულობას და თვითრეალიზებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. ამას ადასტურებს

3. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეების თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ჩართულობასა და თვითრეალიზებას. მართალია, მცირე, მაგრამ სკოლას აქვს არაფორმალური განათლების აქტივობების განხორციელების გამოცდილება. სკოლაში ფუნქიონირებს მკითხველთა კლუბი „მწიგნობარი“, რომელშიც ჩართული იყვნენ დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები. ასევე, განხორციელდა საწავლო პროექტები: „სკოლა ჩემი სახლია“, „14 აპრილი“. ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი. სკოლას არ წარმოუდგენია მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და არც ინტერვიუს დროს დაუსახელებია შესაბამისი ფაქტები. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ გასაუმჯობესებელია მოსწავლეთა ჩართულობისა და თვითრეალიზების მიმართულება და მზაობას გამოხატავენ, რომ სამომავლოდ სასწავლო პროცესი წარმართოს უფრო მეტად წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად. **(შეესაბამება)**

4. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია გუნდურ მუშაობასა და თანამშრომლობაზე. კათედრების წევრები ერთობლივად მუშაობენ სასკოლო დოკუმენტაციის შექმნასა და სასკოლო აქტივობების დაგეგმვაზე. ისინი ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთობლივად ახორციელებენ სხვადასხვა სასკოლო პროექტებს. მაგალითად: სასკოლო პროექტი ყველა საფეხურის ჩართულობით „დედა ენის დღე“, კალიგრაფიის კონკურსი ესთეტიკური აღზრდისა და დაწყებითი კლასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კათედრების ჩართულობით. წარმოდგენილია, ასევე, დაწყებით საფეხურზე ჩატარებული გაკვეთილის გეგმა და უკუკავშირი, რაც ადასტურებს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობით კულტურას. **(შეესაბამება)**

5. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ დაწესებულებაში პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, თანამშრომლობა. აღსანიშნავია სკოლოს მხრიდან მადლობის გამოცხადება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის, რომელმაც განახორციელა სასწავლო პროექტი და კალიგრაფიის კონკურსი. საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში გაწერილი კომპლექსური დავალებები და სადამრიგებლო პროგრამები ატარებს ისეთ ხასიათს, რომ სკოლას აქვს მზაობა, უზრუნველყოს საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება და მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებსა და დირექციას შორის ინტენსიური თანამშრომლობასთან. ისინი ერთობლივად აკვირდებიან პროცესებს და აანალიზებენ შედეგებს. კურიკულუმის განვითარება, თავისთავად, წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან, მეთოდოლოგიის მიხედვით, ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი/შეფასება-გადაგეგმვა. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარების მეთოდოლოგია შესაძლებლობას გვაძლევს, ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **(შეესაბამება)**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასებასებისას უნდა დადგინდეს, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა მოიაზრებს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას. კერძოდ, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრები სემესტრის ბოლო სხდომებზე აჯამებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს. მასწავლებლები აკვირდებიან საკუთარ და კოლეგების პრაქტკას და გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე ცდილობენ ჩაერთონ შესაბამის ტრენინგებსა და ვებინარებში. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები, პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, საჭიროებენ მნიშვნელოვან მხადაჭერას. **(შეესაბამება)**

3. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ, როგორც პრობლემის გადაჭრის, და მეორეს მხრივ, როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით მუშაობა წარიმართება 2023-2024 სასწავლო წლიდან. ამ დროისათვის არსებული პრაქტიკა კი ასეთია: დირექციის წარმომადგენლები ესწრებიან საგაკვეთილო პროცესს, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ამ დროს დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ეძლევა განმავითარებელი უკუკავშირი. საჭიროების შემთხვევაში, სირთულეების დაძლევაში პედაგოგები თავადვე ეხმარებიან ერთმანეთს. კათედრები ურთიერთთანამშრომლობით გეგმავენ და ატარებენ გაკვეთილებს. შემდეგ განიხილავენ შედეგებს და სახავენ საკუთარი და კოლეგის პროფესიული განვითარების გზებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებისას, დგინდება სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზები, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების შემდეგ კი ხდება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალების შესახებ შეთანხმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამ გზით ჩატარებული ანალიზის შედეგად, პედაგოგები მიიჩნევენ, რომ აქვთ სხვადასხვა გასაუმჯობესებელი მხარე და ესაჭიროებათ კვალიფიციური კონსულტაციები, რათა მოხდეს მათი პროფესიული ზრდა. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვას, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას. აღსანიშნავია, რომ სკოლაში აქტიურადაა დასანერგი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი შეფასების სისტემა. პედაგოგები მზაობას გამოხატავენ ამ საკითხთან დაკავშირებით. **(შეესაბამება)**

2. დოკუმენტებში გაწერიალია, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, რამდენად ახერხებს მოსწავლე და როგორ არის ჩართული სწავლების პროცესში, დისკუსიის, ჯგუფური თუ ინდივიდუალური მეცადინეობის, პრეზენტაციის დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ასევე იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებს კომპლექსურ დავალებებს. სასწავლო პროცესში შეფასებისას აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა, შესაბამისად, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ კომენტარს, მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, სხვადასხვა შეფასების რუბრიკებს, რომელსაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ შეფასების ინსტრუმეტები საჭიროებს დახვეწასა და გამრავალფეროვნებას. სკოლა აღნიშნავს, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად ესაჭიროება შესაბამისი კონსულტაციები. აგრეთვე, გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან ზემოთ აღწერილი პროცესების შესაბამისად განახორციელოს მოსწავლეთა შეფასება. **(შეესაბამება)**

3. გასაუბრებისას ზოგიერთმა პედაგოგმა (მაგალთად, სახელმწიფო ენის) დაასახელეს შეფასებისათვის საჭირო მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: დაკვირვება, მასწავლებლის ჩანაწერები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, შეფასებების შედეგების ანალიზი, შეკითხვების დასმა, მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მსგავს ინფორმაციას ვერ ფლობს პედაგოგთა დიდი ნაწილი. ისინი აცნობიერებენ ამ პრობლემას და მზად არიან გადაემზადონ, შეისწავლონ შეფასების მრავალფეროვანი მეთოდოლოგია და გამოიყენონ საგაკვეთილო პროცესში. **(შეესაბამება)**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაიის მიხედვით, სკოლაში შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მაგალითად, როგორიცაა: ჩართულობა, ურთიერთანამშრომლობა, კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარები, მოტივაცია, მოსწავლეთა განვითარების, პირადი და სოციალური, ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორები და სხვა. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან ზემოთ აღწერილი ქმედებები სრულად დანერგოს სასწავლო პროცესში. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2019-2025 ს.წ.;
- სკოლის წესდება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2022-2023 ს.წ;
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში;
- დიდგორის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. მის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებულ რეკომენდაციათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ აღნიშნული პროცესები განახორციელოს პრაქტიკულადაც. **(შეესაბამება)**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. აღნიშნული პაკეტის შემუშავება ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ აღნიშნული პროცესები განახორციელოს პრაქტიკულადაც. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმიის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

  ☐ მეტწილად შეესაბამება

  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

  ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2 **საშუალო საფეხური**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **■ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიისა და კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ სასწავლო გეგმა, ტექნიკურად და შინაარსობრივად, შეესაბამება ერონული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს, მიზნებსა და საკითხებს. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ შესასწავლი თემების არჩევისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს თავიანთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აირჩიეს მოსწავლეებისათვის საინტერესო შინაარსები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა კოგნიტური შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში შესასწავლი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობებიც, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსური დავალებების რაოდენობების შერჩევისას გააანალიზეს კოლეგების მზაობა ამ დავალებების განსახორციელებლად. გაითვალისწინეს ის, რომ სასწავლო პროცესი დაძლევადი ყოფილიყო თავად მასწავლებლებისათვისაც, რათა არ დაზარალებულიყო მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ამ ანალიზზე დაყრდნობით სკოლამ გადაწყვიტა, რომ მათი კურიკულუმები, ამ ეტაპზე, სრულად კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირებული არ ყოფილიყო. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლიგიის თანახმად, კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობები, რათა რეალისტური ყოფილიყო სასწავლო გეგმის პრაქტიკულად განხორციელება. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლას აქვს კურიკულუმების შედგენის მწირი გამოცდილება, თუმცა სკოლა მზაობას გამოთქვამს, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა და თითოეულმა პედაგოგმა აიმაღლოს კვალიფიკაცია. **(შეესაბამება)**

3. კათედრების წევრებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. კათედრებსა და პედაგოგებს ფუნქციები გონივრულად, საკუთარი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით ჰქონდათ გადანაწილებული. პედაგოგები გამოხატავენ მზაობას, რომ მომდევნო კურიკულუმების შემუშავებისას კიდევ უფრო მეტად გააძლიერონ სასკოლო საზოგადოების ჩართულობის კომპონენტი. **(შეესაბამება)**

4. როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებული იქნება სკოლის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის. გარდა ამისა, სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმსა და კომპლექსური დავალებების ბარათებს მშობლებს გააცნობენ მშობელთა კრებაზე. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მათში გათვალისწინებულია თემები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საკითხები/ქვესაკითხები, საჭირო რესურსები. კურიკულუმები ადასტურებს თუ რა გრძელვადიანი მიზნით უნდა ასწალონ სასწავლო პროცესში მოსწავლეს. კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალებები და მათი შეფასების რუბრიკები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც კათედრების წევრებთან გასაუბრებითაც დადასტურდა. **ხარვეზები გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებებით:**

- **მათემატიკა** - მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული არაა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი მე-11 კლასის კურიკულუმი.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, შეტანლია თითო კომპლექსური დავალება. მაგრამ ყოველივე ეს არათანმიმდევრულადაა წარმოდგენილი და მითითებული არაა მათ შესასრულებლად რეკომენდებული რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **პროექტული სწავლება** - საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის სახით. რადგან სკოლას ვიზიტისას ხელოვნების და მუსიკის მასწვლებლის ვაკანსია ჰქონდა გამოცხადებული სპორტის მასწავლებელთან და დირექციის წარმომადგენლებთან ინტერტვიუს საშუალებით ვერ დადგინდა, თუ რას გეგმავდა კათედრა 2023-2024 სასწავო წელს პროექტული სწავლების მიმართულებით. სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმის ჩარჩო -გეგმა საშულო საფეხურზე მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

2. საშუალო საფეხურზე, ყველა კათედრის მიერ, წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც დამუშვებულია სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებებისა და შეფასების რუბრიკების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. თუმცა გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები და საგულისხმო საკითხები:

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა** - ვიზიტის დროს, სკოლის დათვალიერებისას, გამოიკვეთა, რომ სკოლას არ აქვს სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები. ამ ხარვეზს ინტერვიუების დროსაც ადასტურებენ პედაგოგები. ისინი აცნობიერებენ, თეორიული ცოდნის მიცემასთან ერთად, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებში პრაქტიკული უნარების განვითარება, მაგრამ არ იციან, რესურსების გარეშე ეს როგორ უნდა შეძლონ.
- **ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი. თუმცა მასში არაა შექმნილი კურიკულუმში ასახული სათამაშო სპორტის სახეობების შესწავლისთვის საჭირო პირობები. ამ საკითხის გამოსწორების მიზნით, მასწავლებელს ინტერვიუს დროს მიეცა შესაბამისი რჩევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **პროექტული სწავლება** - საშუალო საფეხურზე მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით, წარმოდგენილი არ არის განსახორციელებელი პროექტების ჩარჩო-გეგმები. ვერც სკოლის წარმომადგენელთან ინტერვიუს დროს გაირკვა, თუ რას გეგმავს სკოლა 2023-2024 სასწავლო წელს. **(არ შეესაბამება)**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)

1. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, სკოლას არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, სსმ მოსწავლეს შესთავაზოს შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა) და ინტერვიუს დროს გამოკვეთილი მასწავლებელთა მზაობის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. თუმცა გამოიკვეთა შემდეგი **ხარვეზი:**
   - **პროექტული სწავლება** - საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინრეობს სავალდებულო პროექტის სახით. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელდა პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. თუმცა ვერ დგინდება, რას გეგმავს სკოლა 2023-2024 დასწავლო წელს საშუალო საფეხურზე. არ არის წარმოდგენილი განსახორციელებელი პროექტების ჩარჩო-გეგმები. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. ამავე დოკუმენტის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება უკავშირდება არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ შეასრულოს სასკოლო სასწავლო გემით განსაზღვრული საკითხები. სკოლა აქამდე იყენებდა შეფასების პირველ მოდელს, რაც გულისხმობს მიმდინარე (საკლსო, საშინაო) და შემაჯამებელ შეფასებას. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა კათედრა აქტიურად იყენებს ზეპირ განმავითარებელ კომენტარს. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა რჩება იგივე შეფასების მოდელზე. კათედრების წარმომადგენლები, გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ ყველა მათგანს გააზრებული აქვს შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, სურვილი აქვთ აიმაღონ კვალიფიკაცია ამ მიმართულებით და მზად არიან, შეფასება აწარმოონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები:

- **მათემატიკა** - სასურველია, რომ კათედრამ, თანამშრომლობის გზით, შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფესების მრავალფეროვანი რუბრიკები.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებით შექმნლი რუბრიკები, თუმცა კათედრებმა წარმოადგინეს ახალი მოთხოვნის შესაბამისი შეფასების რუბრიკის სანიმუშო ეგზემპლიარები.
- **ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - წარმოდგენილია მხოლოდ საერთო ხასიათის შეფასების რუბრიკები. კურიკულუმებს არ ახლავს თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალების შესაფასებლად განკუთვლინილი რუბრიკები. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ გეგმავს შეფასების რუბრიკების განვითარარებასა და დახვეწას ისე, რომ შეესაბამებოდეს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **პროექტული სწავლება (მუსიკა/ხელოვნება)** - საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტი ფასდება განმავითარებელი შეფასებით. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელებული პროექტის ფარგლებში მოსწავლეთა შეფასებები არც 2023-2024 სასწავლო წელს განსახორციელებელი პროექტების შესაბამისი რუბრიკებით ვერ ხერხდება დადგინდეს ინდიკატორთან შესაბამისობა. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

5. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დამკვიდრებულია საგნის მასწავლებლების, კათედრების, კლასის დამრიგებლების ანგარიშების წარმოდგენა. მათი გაანალიზების საფუძველზე გამოიყოფა პრობლემური და გასაუმჯობესებელი საკითხები. ამის შემდეგ პედაგოგები ადგენენ წარმოშობილი პრობლემების მიზეზებს და პოულობენ მათი გადაჭრის გზებს. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან სრულად მიყვებიან კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილ პროცესებს. გამოიკვეთა შემდეგი გასაუმჯობესებელი საკითხები:

- **პროექტული სწავლება (მუსიკა/ხელოვნება)** - 2023-2024 სასწავლო წელს საშუალო საფეხურზე განსახორციელებელ პროექტებთან მიმართებით სკოლის მიერ არ არის წარმოდგენილი დოკუმეტები. ვერ დგინდება, თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-2024 სასწავლო წელს პროცესის წარმართვას საშუალო საფეხურზე. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- განხორციელებული გაკვეთილის გეგმა-რეფლექსია;
- შეფასების რუბრიკები;
- პროექტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N99/ნ-ის („საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კომპონენტი 2.2 (კურიკულუმის განხორციელება) დახარვეზებულია, რადგან:

- სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტები და შესაბამისი სასწავლო რესურსები.
- სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად 2024 წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტის მოწყობა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით აღჭურვა.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მათში გაწერილი კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სახელმწიფო ენის კათედრაზე განხორციელდა პროექტები: „სკოლა ჩემი სახლია“ და „ ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“. პედაგოგებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და დირექციასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ესთეტიკური აღზრდის კათედრა ახორციელებს სხვადასხვა პროექტსა და აქტივობას. მაგალითად: „საახალწლო ღონისძიება“, „დედის დღე“, „დედაენის დღე“ (სასკოლო პროექტი ყველა საფეხურის ჩართულობით, ქართული ენის კათედრასთან თანამშრომლობით). გარდა ამისა სკოლაში ხელოვნების მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით გაიმართა სხვადასხვა თემატიკის მქონე გამოფენები და ღონისძიებები, რომელებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. განსხვავებული ვითარებაა შემდეგი კათედრების მიმართულებით: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, პროექტული სწავლება მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება სპორტ დარბაზში განლაგებული ინვეტარი არ იძლევა საშუალო განათლების საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული და კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო თემატურ ბლოკში - „სპორტის სახეობები“ - შემავალი თემების სრულყოფილად შესწავლის შესაძლებლობას. აგრეთვე, დარბაზში განთავსებული არ არის ამ თემების განხორციელებისთვის საჭირო სპორტული ინვენტარი. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმების მიხედვით, რომელთა განხორციელების დაწყებაც დაგეგმილია 2023-2024 სასწავლო წლიდან, ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კურიკულუმებში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. განსხვავებული ვითარებაა **პროექტული სწავლების მიმართულებით მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.**

3. კათედრების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მართალია, ჯერ კომპლექსური დავალებების გამოყენება სრულად არაა დანერგილი, მაგრამ მასწავლებლები ადასტურებენ, რომ მზად არიან მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს მაქსიმალურად დააკმაყოფილებენ 2023-2024 სასწავლო წლიდან. აღსანიშნავია, რომ მათ ესაჭიროებათ მხარდაჭერა, რათა შეძლონ პროფესიული განვითარება და საგაკვეთილო პროცესის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართვა. განსხვავებული ვითარებაა **პროექტული სწავლების მიმართულებით მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. (არ შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

4. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობის შესაძლებლობას. მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელთა შესაქმნელად მათ ჯერ უნდა შეიძინონ ცოდნა, პრატიკულად შეძლონ ამ ცოდნის გამოყენება და ბოლოს ფუნქციურად, გააზრებულად გამოიყენონ ეს ცოდნა. სახელმწიფო ენისა შემთხვევაში, ცოდის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობის შესახებ ინფორმაციას იძლევა განხორციელებული კომპლექსური დავალებები. **განსხვავებული ვითარებაა რამდენიმე საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით:**

- **მათემატიკა** - მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული არაა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი მე-11 კლასის კურიკულუმი.
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის და პროექტული სწავლების (მუსიკა/ხელოვნება). **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

5. კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას კომპლექსური დავალებების განხორციელებით გეგმავს, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ პედაგოგებს აქვთ სურვილი ჩაერთონ შესაბამის ტრენინგებში, განვითარდნენ პროფესიულად, რათა სრულფასოვნად შეძლონ კომპლექსური დავალებების საგაკვეთილო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დანერგვა. **განსხვავებული ვითარებაა** პროექტული სწავლების მიმართულებით მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- განხორციელებული გაკვეთილის გეგმა-რეფლექსია.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმების ჩარჩოებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. კურიკულუმებში წარმოდგენილი თითოეული თემა, სამიზნე ცნება, საკითხი/ქვესაკითხი აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ თუ იმ ცნებასთან მიმართებით, საფეხურის ბოლოს. თითოეული თემა/საკითხი შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებს. მათი დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით. რაც დასტურია იმისა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პედაგოგები გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ 2023-204 სასწავლო წლიდან, მზად არიან იხელმძღვანელონ ზემოთ აღწერილი კურიკულუმებით. **განსხვავებული ვითარებაა** მათემატიკისა და პროექტული სწავლების მიმართულებით მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

2. კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს გააცნოებიეროს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა არ იყო ჩართული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაგეგვაში, მაგრამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო: მოსწავლის მზაობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერესები, პირონვული, ფსიქო-სოციალური და სხვა ფაქტორები. **განსხვავებული ვითარებაა** პროექტული სწავლების მიმართულებით მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

3. კათედრების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განამვათარებელი შეფასების რუბრიკებით დგინდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. **განსხვავებული ვითარებაა** შემდეგი საგნობრივი ჯგუფების მიმართულებით: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და როექტული სწავლება (მუსიკა/ხელოვნება). **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

4. კათედრების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების გაცნობითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციედება საგნობრივ სტანდარტებთან და მიზნებთან შესაბამისად, რაც მის ვალიდულობას ადასტურებს. შერჩეულია გაზომვადი კრიტერიუმები, რაც განაპირობებს შეფასების სისტემის სანდოობასა და სამართლიანობას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები თავად მონაწილეობენ რუბრიკების შედგენაში, მათთვის ცნობილია შეფასების კრიტერიუმები, მაშასადამე, შეფასება გამჭირვალეა. **განსხვავებული ვითარებაა** შემდეგი საგნობრივი ჯგუფების მიმართულებით:

- **მათემატიკა** - კათედრას არ წარმოუდგენია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების და სტანდარტის შედეგების მიხედვით შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კათედრამ ვერ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები ქიმიაში, ფიზიკასა და ბიოლოგიაში. პედაგოგმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლამ შეიმუშავა ვერიფიკაციის მექანიზმი და 2023-2024 სასწავლო წელს მოხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი შეფასების რუბრიკების შემუშავება.
- **ფიზიკური აღზრდა და სპორტი** - კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ნაწილობრივ შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. გასაუბრების დროს, პედაგოგმა დაადასტურა მზაობა ამ საკითხის 2023-2024 სასწავლო წელს მოგვარების შესახებ.
- **პროექტული სწავლება მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში** - საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტი ფასდება განმავითარებელი შეფასებით. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელებული პროექტის ფარგლებში მოსწავლეთა შეფასებები და არც 2023-2024 სასწავლო წელს დადედმილი განსახორციელებელი პროექტების ჩარჩო რუბრიკები, ვერ ხერხდება დადგინდეს არის თუ არა შეფასების სისტემა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. (იხ. რეკომენდაციების ცხრილი)**

5. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები (მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან, მოსწავლის მიღწევების ანალიზი, ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად) და პრინციპები (ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა). წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმი, რომელშიც მოცემულია სხდომაზე განსახილველი საკითხები: მოსწავლეთა აკადემიური შედეგებისა და 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის განხილვა. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლა გეგმავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- სკოლის ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. ზოგადსაგანმანათლობლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლის ფორმაში ვკითხულობთ, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია ნდობაზე, სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ამ საკითხებს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლეებს, პედაგოგებს, დირექციას და ადმინისტრაციას ერთმანეთთან აქვთ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც ხელს უწყობთ, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში (გვ.43). ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ახლა არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მოსწავლე, მას აქვს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს შესთავაზოს შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება. **(შეესაბამება)**

2. სკოლა ზრუნავს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ჩართულობას და თვითრეალიზებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. ამას ადასტურებს

3. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეების თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ჩართულობასა და თვითრეალიზებას. მართალია, მცირე, მაგრამ სკოლას აქვს არაფორმალური განათლების აქტივობების განხორციელების გამოცდილება. სკოლაში ფუნქიონირებს მკითხველთა კლუბი „მწიგნობარი“, რომელშიც ჩართული იყვნენ დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები. ასევე, განხორციელდა საწავლო პროექტები: „სკოლა ჩემი სახლია“, „14 აპრილი“. ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი. სკოლას არ წარმოუდგენია მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და არც ინტერვიუს დროს დაუსახელებია შესაბამისი ფაქტები. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ გასაუმჯობესებელია მოსწავლეთა ჩართულობისა და თვითრეალიზების მიმართულება და მზაობას გამოხატავენ, რომ სამომავლოდ სასწავლო პროცესი წარმართოს უფრო მეტად წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად. **(შეესაბამება)**

4. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია გუნდურ მუშაობასა და თანამშრომლობაზე. კათედრების წევრები ერთობლივად მუშაობენ სასკოლო დოკუმენტაციის შექმნასა და სასკოლო აქტივობების დაგეგმვაზე. ისინი ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთობლივად ახორციელებენ სხვადასხვა სასკოლო პროექტებს. მაგალითად: სასკოლო პროექტი ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფეხურის ჩართულობით „დედა ენის დღე“, კალიგრაფიის კონკურსი ესთეტიკური აღზრდისა და დაწყებითი კლასების კათედრების ჩართულობით. წარმოდგენილია, ასევე, დაწყებით საფეხურზე ჩატარებული გაკვეთილის გეგმა და უკუკავშირი, რაც ადასტურებს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობით კულტურას. **(შეესაბამება)**

5. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ დაწესებულებაში პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, თანამშრომლობა. აღსანიშნავია სკოლოს მხრიდან მადლობის გამოცხადება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის, რომელმაც განახორციელა სასწავლო პროექტი და კალიგრაფიის კონკურსი. საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში გაწერილი კომპლექსური დავალებები და სადამრიგებლო პროგრამები ატარებს ისეთ ხასიათს, რომ სკოლას აქვს მზაობა, უზრუნველყოს საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება და მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებსა და დირექციას შორის ინტენსიური თანამშრომლობასთან. ისინი ერთობლივად აკვირდებიან პროცესებს და აანალიზებენ შედეგებს. კურიკულუმის განვითარება, თავისთავად, წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან, მეთოდოლოგიის მიხედვით, ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი/შეფასება-გადაგეგმვა. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეთოდოლოგია შესაძლებლობას გვაძლევს, ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **(შეესაბამება)**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასებასებისას უნდა დადგინდეს, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა მოიაზრებს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას. კერძოდ, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრები სემესტრის ბოლო სხდომებზე აჯამებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს. მასწავლებლები აკვირდებიან საკუთარ და კოლეგების პრაქტკას და გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე ცდილობენ ჩაერთონ შესაბამის ტრენინგებსა და ვებინარებში. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები, პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, საჭიროებენ მნიშვნელოვან მხადაჭერას. **(შეესაბამება)**

3. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ, როგორც პრობლემის გადაჭრის, და მეორეს მხრივ, როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით მუშაობა წარიმართება 2023-2024 სასწავლო წლიდან. ამ დროისათვის არსებული პრაქტიკა კი ასეთია: დირექციის წარმომადგენლები ესწრებიან საგაკვეთილო პროცესს, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ამ დროს დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ეძლევა განმავითარებელი უკუკავშირი. საჭიროების შემთხვევაში, სირთულეების დაძლევაში პედაგოგები თავადვე ეხმარებიან ერთმანეთს. კათედრები ურთიერთთანამშრომლობით გეგმავენ და ატარებენ გაკვეთილებს. შემდეგ განიხილავენ შედეგებს და სახავენ საკუთარი და კოლეგის პროფესიული განვითარების გზებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებისას, დგინდება სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზები, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების შემდეგ კი ხდება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალების შესახებ შეთანხმება. ამ გზით ჩატარებული ანალიზის შედეგად, პედაგოგები მიიჩნევენ, რომ აქვთ სხვადასხვა გასაუმჯობესებელი მხარე და ესაჭიროებათ კვალიფიციური კონსულტაციები, რათა მოხდეს მათი პროფესიული ზრდა. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვას, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას. აღსანიშნავია, რომ სკოლაში აქტიურადაა დასანერგი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი შეფასების სისტემა. პედაგოგები მზაობას გამოხატავენ ამ საკითხთან დაკავშირებით. **(შეესაბამება)**

2. დოკუმენტებში გაწერიალია, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, რამდენად ახერხებს მოსწავლე და როგორ არის ჩართული სწავლების პროცესში, დისკუსიის, ჯგუფური თუ ინდივიდუალური მეცადინეობის, პრეზენტაციის დროს. ასევე იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებს კომპლექსურ დავალებებს. სასწავლო პროცესში შეფასებისას აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა, შესაბამისად, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ კომენტარს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, სხვადასხვა შეფასების რუბრიკებს, რომელსაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ შეფასების ინსტრუმეტები საჭიროებს დახვეწასა და გამრავალფეროვნებას. სკოლა აღნიშნავს, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად ესაჭიროება შესაბამისი კონსულტაციები. აგრეთვე, გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან ზემოთ აღწერილი პროცესების შესაბამისად განახორციელოს მოსწავლეთა შეფასება. **(შეესაბამება)**

3. გასაუბრებისას ზოგიერთმა პედაგოგმა (მაგალთად, სახელმწიფო ენის) დაასახელეს შეფასებისათვის საჭირო მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: დაკვირვება, მასწავლებლის ჩანაწერები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, შეფასებების შედეგების ანალიზი, შეკითხვების დასმა, მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება. მაგრამ **აღსანიშნავია, რომ მსგავს ინფორმაციას ვერ ფლობს პედაგოგთა დიდი ნაწილი. ისინი აცნობიერებენ ამ პრობლემას და მზად არიან გადაემზადონ, შეისწავლონ შეფასების მრავალფეროვანი მეთოდოლოგია და გამოიყენონ საგაკვეთილო პროცესში. (შეესაბამება)**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაიის მიხედვით, სკოლაში შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მაგალითად, როგორიცაა: ჩართულობა, ურთიერთანამშრომლობა, კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარები, მოტივაცია, მოსწავლეთა განვითარების, პირადი და სოციალური, ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორები და სხვა. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან ზემოთ აღწერილი ქმედებები სრულად დანერგოს სასწავლო პროცესში. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2019-2025 ს.წ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლის წესდება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2022-2023 ს.წ;
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში;
- დიდგორის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. მის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებულ რეკომენდაციათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ აღნიშნული პროცესები განახორციელოს პრაქტიკულადაც. **(შეესაბამება)**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. აღნიშნული პაკეტის შემუშავება ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ აღნიშნული პროცესები განახორციელოს პრაქტიკულადაც. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმიის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

  ☐ მეტწილად შეესაბამება

  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

  ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. **დანართი N1 - ფოტოსურათები**

28 ნოემბერი, 2023 წ.

თარიღი

1. **თავმჯდომარე:**

   ცირა ნიკოლაშვილი

   წევრები:

2. **მაკა კაჭკაჭიშვილი**

3. **ქეთევან ტურიაშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. მაყვალა გრძელიშვილი

5. ინგა გელაშვილი

6. ნინო ზირაქაძე



7. ნათია კურტანიძე

8. მარიამ ჯვარიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---



9. **მაია ჩაჩხიანი**

10. **მიხეილ გაფრინდაშვილი**

11. **ნინო ჭიჭინაძე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---